ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N20

20.11.2018 *ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2*

14:00 საათი *საკრებულოს ბიუროს სხდომათა დარბაზი*

მ/წ 20 ნოემბერს, 14:00 საათზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა და განათლებისა და კულტურის კომისიების გაერთიანებული სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გიორგი ჩაკვეტაძე (კომისიის თავმჯდომარე), ლევან ჯაფარიძე (კომისიის წევრი), დავით ჭელიძე (კომისიის წევრი), ავთანდილ ცინცაძე (კომისიის წევრი), გიორგი მუსხელიშვილი (კომისიის წევრი), დავით რურუა (კომისიის წევრი) და შალვა ოგბაიძე (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა და განათლებისა და კულტურის კომისიების წევრები. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე, ამავე სამსახურის უფოსის მოადგილე ლევან მიქავა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი ირაკლი გვილავა, ამავე სამსახურის უფროსის მოადგილე ზაზა ცინაძე, საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 7 (შვიდი) წევრის დასწრებით.

სხდომას თავმჯდომარეობდა -გიორგი ჩაკვეტაძე

სხდომის დღის წესრიგი:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა *(12-0318319154-03 15.11.2018)* (მომხსენებელი- გაიოზ თალაკვაძე, ქ. თბილისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი);

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

დედაქალაქის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტი კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა წარადგინა.

გაიოზ თალაკვაძე - ქალაქ თბილისის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის მთლიანი მოცულობა განისაზღვრა 871 631,5 ათასი ლარით, რაც 2018 წლის თავდაპირველად დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში, რომელიც შეადგენდა 861 609,0 ათას ლარს, გაზრდილია 10 022,5 ათასი ლარით. თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებული პრიორიტეტები შემდეგსაირადაა განაწილებული: სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა 105 858,5 ათასი ლარი, ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა ექსპლუატაცია 173 797,7 ათასი ლარი, ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება 97 996,0 ათასი ლარი, ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა 5 897,0 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება 20 648,1 ათასი ლარი, ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 191 030,7 ათასი ლარი, განათლება 159 063,2 ათასი ლარი, კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა 21 593,4 ათასი ლარი, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება 3 608,8 ათასი ლარი, წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები 97 138,1 ათასი ლარი. 2019 წლის ბიუჯეტის შემოსავლები დაგეგმილია 850 531,5 ათასი ლარით, აღსანიშნავია რომ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში გათვალისწინებული ცვლილებების, ასევე 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, გათანაბრებითი ტრანსფერის და საშემოსავლო გადასახადის ნაცვლად მუნიციპალიტეტებში, მათ შორის თბილისის ბიუჯეტში მიმართული იქნება დამატებული ღირებულების გადასახადი, რომელიც გაიანგარიშება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში დაგეგმილი ცვლილებებით გათვალისწინებული ფორმულის მიხედვით. ზემოთ აღნიშნულის მიხედვით დამატებითი ღირებულების გადასახადიდან მისაღები შემოსავალი შეადგენს 473 415,2 ათას ლარს ასევე ქონების გადასახადიდან მისაღები შემოსავლები შეადგენს 185 000,0 ათას ლარს, გრანტები 1 341,5 ათასი ლარი, სხვა შემოსავლები დაგეგმილია 190 774,8 ათასი ლარით.

სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა.

აზრი გამოთქვეს:

გიორგი ჩაკვეტაძე - სპორტული პროგრამების მიმართულებით გამოვყოფდი რამდენიმე საკითხს, პირველი, რომ საკმაოდ ნაყოფიერი იყო 2018 წლის ბიუჯეტი, რომელიც მიზანმიმართულად გაიხარჯა, მიმდინარე წელს დაიწყო და დასრულდება წყნეთში საჭიდაო დარბაზის სამშენებლო სამუშაოები და მისი აღჭურვა, გაიხსნა ა(ა)იპ სპორტული ცენტრის გლდანი-ნაძალადევის, თემქაზე მდებარე სპორტული კომპლექსი. ასევე პროექტი, რაც გულისხმობს მულტიფუნქციურ ცენტრებს, ორი ასეთი ცენტრი უკვე დაპროექტდა, ერთი არის დიდი დიღმის, ხოლო მეორე ვარკეთილის ტერიტორიაზე. მნიშვნელოვანია ამ პროექტების განხორციელება დაიწყოს 2019 წელს და გონივრულ ვადაში დასრულდეს. მივესალმები, რომ სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისა და მშენებლობისთვის გამოყოფილი ბიუჯეტით განხორციელდება საპროექტო სამუშაოების შეძენა ორ ახალ ცენტრზე, თუმცა პირველ რიგში აუცილებელია უკვე შემდგარ პროექტებზე სამშენებლო სამუშაოების დაწყება, ცნობილია, რომ დედაქალაქის მუნიციპალიტეტს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, გადმოეცემა სპეციალური ტრანსფერი რაც გადანაწილდება პრიორიტეტების გათვალისწინებით, აღნიშნული

ტრანსფერიდან ინფრასტრუქტურის ნაწილში აუცილებლად უნდა აისახოს თანხა, კომისიაზე მხარი უნდა დავუჭიროთ პროექტის განხორციელების აუცილებლობას, რაც შეეხება სპორტული ღონისძიებების პროგრამას, წინა წელთან შედარებით შეინიშნება მცირედი კლება. ამ მხრივ კომისიის წევრებს შევთავაზებდი რეკომენდაცია გაგვეცა, რომ მაქსიმალურად გამოინახოს თანხა, რათა არ იყოს არსებითი კლება ამ კუთხით. მოგეხსენებათ თბილისში არაერთი სპორტული ღონისძიება ტარდება და ქალაქ თბილისის მერია არის, როგორც ფონდი, რომელიც ითვისებს დაფინანსების და თანადაფინანსების კომპონენტებს, ამ კუთხით საინტერესო იქნება საქალაქო სამსახურის პოზიცია. თუკი ვერ გამოინახება სახსრები, რომ არსებული პროგრამა გაიზარდოს წინა წელთან შედარებით, ვფიქრობ შესაძლებელია, იგივე დარჩეს 2019 წლის ბიუჯეტში, რაც 2018 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში იყო. მცირე კლება არის ახალგაზრდული პროგრამების მიმართულებით, თუმცა არსებითი განსხვავებები არ შეინიშნება. რაც შეეხება პროგრამებს რომელსაც აქვს მატება, ან წინა წლის ბიუჯეტით არ იყო გათვალისწინებული და 2019 წლის ბიუჯეტში აისახა, ასეთია სპორტული მოედნების მშენებლობა/რეკონსტრუქცია, რომელიც დაფინანსდება 200,0 ათასი ლარით, რაც მოხმარდება 2 ლოკაციაზე, ექსტრემალური პანდუსების მოწყობას, რაც მისასალმებელია. ასევე უცვლელია ,,თბილისის პარასპორტის განვითარების ცენტრის" ხელშეწყობა და მატერიალური მხარდაჭერის პროგრამები, მწვრთნელთა და წარმატებული სპორტსმენი ბავშვების წახალისება, პრიორიტეტად არის დასახელებული ქალთა მხარდაჭერა სპორტში.

შალვა ოგბაიძე - მთავრობის ცენტრალური ტრანსფერის ასახვის შემდეგ, სასურველია ავჭალა-ზაჰესის ტერიტორიისთვის გამოინახოს მცირე ნაწილი, რადგან ზაჰესის ტერიტორიაზე არსებობს მხოლოდ ერთი სივრცე, სადაც ადრე იყო სპორტული დარბაზი, ძალიან დიდი მოთხოვნაა, რომ მოხდეს აღნიშნული შენობისთვის პროფილის აღდგენა და პირველ ეტაპზე თუნდაც პროექტის შესყიდვა მაინც განხორციელდეს. აღნიშნულთან დაკავშირებით ვაწარმოებთ მოლაპარაკებას ეკონომიკის სამინისტროსთან, რომ აღნიშნული შენობა საკუთრებაში გადმოეცეს მუნიციპალიტეტს. ასევე მინდა ვთხოვო ბატონ ირაკლი გვილავას, რომ 25 ნოემბრამდე მობრძანდეს ავჭალა-ზაჰესის ტერიტორიაზე, რათა ერთად განვახორციელოთ სპორტული ინფრასტრუქტურის მონიტორინგი.

კომისიის სხდომაზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსმა ირაკლი გვილავამ, კომისიის წევრის შალვა ოგბაიძის წინადადებაზე ავჭალა-ზაჰესის ტერიტორიაზე, სპორტული ინფრასტრუქტურის მონიტორინგთან დაკავშირებით სრული მზაობა გამოთქვა.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' საკრებულოს დადგენილების პროექტზე სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წინადადებები (შენიშვნები) და რეკომენდაციები (მომხრე - გიორგი ჩაკვეტაძე, ლევან ჯაფარიძე, დავით ჭელიძე, გიორგი მუსხელიშვილი, დავით რურუა, ავთანდილ ცინცაძე, შალვა ოგბაიძე - (7), წინააღმდეგი - (0), თავი შეიკავა - (0))

ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე კომისიის დასკვნა,

წინადადებებით (შენიშვნები) და რეკომენდაციებით ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 72-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად გადაეგზავნოს ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გიორგი ჩაკვეტაძე